ცნობის ფურცელი

№ 2064 კვირა, 9 თებერვალი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2064

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებ.ს გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ამ №-თან ხელის მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების" მე-91 №-რი.

უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში აცხადებს, რომ საუკეთესო ვენახების

ᲙᲐᲮᲣᲠᲘ ᲡᲦᲕᲘᲜᲘᲡ

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდან დაქირავებულია სარდაფები **პეტრუსა მაკაროვისა.** კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლღას ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები იყიდება ბოთლი 25 კაპ. დაწყებული.

ნარდად მყიდველთ და მუდმივ მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზე ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინოს კანტორა სახლში თვითონვე მიუტანს.

ღვინო იყიდება:

საწყობში—გოლოვ. პროს. სახ. დობრჟანსკისა, ტელეფ. № 595.

დეპო № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფ. № 60.

დეპო № 2, თავ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210.

კავკასიის აფიც. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაქიევისა, მანიევისა, აკოფოვისა და სხვა საგასტრონომიო მაღაზიაში. 0—4

ᲮᲠᲝᲛᲝ-ᲚᲘᲗᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

და პირველი

საკონგრეფო-სარელიეფო დაწესებულება

(განთვის ქუჩა, მანთაშევის სახლი, № 3)

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ მუშტრებს, რომ შევიძინე უკანასკნელ კონსტრუქციის საკონგრეფო-სარელიეფო მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა ყოველ გვარ ელექტრონის მოწყობილებით. მოვიწვიე აგრეთვე რუსეთიდან საუკეთესო მხატვარნი და ამომჭრელნი და ამიტომ შემიძლიან ყოველგვარ საქმის შესრულება: ხრომო-ლიტოგრაფიისა და აგრეთვე საკონგრეფო-სარელიეფო სამუშაოებისა რაიცა პირველი მაგალითია ტფილისისა და ამიერ-კავკასიისათვის. მუშტარს თვით შეუძლიან დარწმუნდეს და შეადაროს ჩვენი ნამუშევარი რუსეთის საუკეთესო ფირმების ნამუშევარს. ფირმა არსებობს 1876 წლიდან. ტელეფონი № 24.

(3—3) პატივის ცემით **გიორგი ივანეს ძე დემუროვი**

წარმოდგენა მე-36. ტელეფონი 617

◆ ᲘᲐᲤ-ᲤᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ ◆

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

კვირას, 9 თებერვალს, 1903 წელს.

ᲓᲘᲚᲘᲡ იაფ-ფასიანი **ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

◆ ᲓᲐᲙᲚᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ ◆

დილის 12 საათზე

ᲞᲔᲞᲝ

კომ. 3 მოქ. გ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. ე. ჩერქეზიშვილისა, ნ. გამყრელიძისა, ბ. რიონელი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი.

ადგილების ფასი დაკლებულია

დასაწყისი დილის 12 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად ვ. გუნიას საბენეფისოდ 13 თებერვალს ორი ახალი პიესა: **„დაბრუნებული ქმარი"** და **„სამი ხიზანი"**).

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ კერძო სამკურნალო

ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ვ. ლ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ძამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

პ. მუხაილოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათ 11½—12½.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

გ. გ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ა. ბ. ბარხუძოვი—ქალთა სნეულებანი: ოთხშაბათობით 12— საათამდე.

გ. გ. ამბარდანოვი—ხირურგიისა, კანისა და საშარდეს 1—2 საათამდე.

პრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოობით:

ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ვენერიულის სენი 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

„მასაჟის და სამკურნ. გიმნასტიკა": ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სავინაშვილისა, №-21. (ალექსანდრის ქუჩის დასაწყისში). ტელეფონი № 274 (წ.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

საზღვარ-გარედ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. მთავრობამ ირლანდიის საადგილ-მამულო საქმის თაობაზე ახალი კანონ-პროექტი შეადგინა და მალე პარლამენტს წარუდგენს განსახილველად. ბევრს იმედი ჰქონდა, მთავრობა ამ კანონ-პროექტს დუბლინის კონფერენციის დადგენილების თანახმად შეადგენსო. ეხლა გაზ. „დეილი ნიუს"-ს შეუტყვია, მთავრობის ახალი კანონ-პროექტი თითქმის იგივეა, რაც შარშანდელი კანონ-პროექტი იყოო. დუბლინის კონფერენციამ გადასტყვიტა, სახელმწიფო ხაზინამ შემწეობა უნდა აღმოუჩინოს ფერმერებს და ამით ლენდ-ლორდებისაგან ადგილების შესყიდვა შეაძლებინოსო. მთავრობის კანონ-პროექტის ძალით კი ხაზინა არაფერ შემწეობას არ მისცემს ფერმერებს.

◆ ამას წინად ერთ რაზმში ასეთი ამბავი მომხდარიყო. ერთი დიდი კაცის შვილი ოფიცერი, უფროსის დაუკითხავად, რამდენისამე ხნით შინ წასულიყო. იმის ამხანაგებს გული მოუვიდათ ამ ოფიცერზე, დისციპლინა რად დაარღვიაო, შინაურულად გაასამართლეს და სასჯელად ჯოხით გლახვა გადაუწყვიტეს. ამ ოფიცრის გარდა ორ სხვა ოფიცრისათვის ასეთივე სასჯელი გადაეწყვიტათ. ამათი დანაშაული უფრო უბრალოც ყოფილა: მაგალითად, ერთს მათგანს თმის გაკრეჭის დროს სამხედრო მუნდირი არ გაეხადა. ოფიცრების შინაურმა სასამართლომ აღსრულებაში მოიყვანა თავისი სასტიკი განაჩენი და სამივე დამნაშავე ჯოხით გალახა. დასჯილმა ოფიცრებმა ჩივილიც ვერ გაჰბედეს თავიანთ ამხანაგების შიშით, მაგრამ იმათმა მშობლებმა ჯარის უფროსს ფელდ-მარშალს ლორდ რობერტსს შეატყობინეს ეს საზიზღარი ამბავი. რობერტსმა მაშინვე სამსახურიდან გადააყენა ამ რაზმის უფროსი, სადაც ეს მხეცური ამბავი მოხდა. დათხოვნილს რაზმის უფროსს თითონ მეფე ედუარდ მე-VII გამოესარჩლა, მაგრამ ლორდ რობერტსმა მაინც თავისი გაიტანა.

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ჯალათის როლიც თითონ ოფიცრებს შეესრულებინათ,—ესე იგი თავიანთ ვითომ დამნაშავე ამხანაგები საკუთარის ხელით დაჰროზგესო. გაზეთებმა ეს ამბავი გამოაცხადეს და თანაც დაუმატეს, ამისთანა ოხერი წესები რამდენსამე რაზმში არსებობსო. საზოგადოებას არც კი სჯეროდა ეს ამბავი, მაგრამ კონტრ-ადმირალმა კოკრანმა გაზეთებში წერილი დაჰბეჭდა და დაამოწმა: მართალია, ოფიცრები თავიანთ ხელით როზგავენ ხოლმე თავიანთ ამხანაგებსაო. კოკრანმა კარგად, დაწვრილებით აღწერა „შინაურ" სამხედრო სასამართლოების წესები. საბედნიეროდ, ამისთანა ბარბაროსული წესები მარტო გრენადერთა ერთ პოლკში-ღაა დარჩენილიო,—ამბობს კოკრანი. დასასრულ, კონტრ-ადმირალი ამბობს, ამ წერილს პარლამენტის წევრებსაც სუყველას გავუგზავნიო.

ყველა გაზეთებმა მოწინავე წერილები უძღვნეს კოკრანის წერილს და მოითხოვეს, ეს ბარბაროსული და სამარცხვინო წესები დაუყოვნებლივ მოისპოსო. გაზეთები დარწმუნებულნი არიან, ამ საქმეზე პარლამენტშიაც ამოიღებენ ხმასაო.

ᲐᲕᲡᲢᲠᲝ-ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ. ავსტრიის სოციალ-დემოკრატებმა ეხლანდელ საერთა-შორისო

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

(საკვირაო ფელეტონი)

შესავალი „მეფე ლირიდან".—ინტერესების დაწვრილმანება და კომისიები.—შავი-ქვის მრეწველთა კრების გამო. ერთი ჩემი ნაცნობის წერილი ქართველ სტუდენტების შესახებ.

„იზუზუნე და იქროლე შენ, ქარო მსუსხავო!"...

მკითხველმა არ უნდა მისაყვედუროს, რომ ასე ხშირად მივმართავ ხოლმე შექსპირს.

„იზუზუნე და იქროლე შენ, ქარო მსუსხავო,
უბერე ვიდრე ლაწვნი ზედ არ დაგასკდებიან!.
და შენც, ყოველთა შემარყევო ქექა-ქუხილო,
რისხვით ლ გრგვინვით ქვე-ეკვეთე, დაიგრიალე
და განაბრტყელე ბურთებრ მრგვალი ეს დედა-მიწა!
მილეწ-მოლეწე და შეშალე ამ ქვეყნის სახე!"..

ადამიანის ცხოვრებაში არის წუთი, როდესაც არც მწუხარება არ სტანჯავს და არ აშფოთებს მას, არც სიხარული არ წაიტაცებს და არ აამაღლებს მის სულს უმაღლესის ნეტარებით. აუტანელია ასეთი წუთი. ასეთი წუთი სამარის წინაშე დგომაა და ისე საშინელია, როგორც სიკვდილი, და ასეთი წუთი თუ გაგრძელდა, თანდათან და ნელ-ნელა შეუგნებელად გარდაიქცევა სიკვდილად.

ამგვარი წუთი, ამგვარი ხანა მიყუჩებისა, უძრაობისა, უსიცოცხლობისა, ხანა მოკლებული ტანჯვას და მხიარულებას არის ხოლმე კაცობრიობის ისტორიაშიც. შესაზარია და მოსაწყენი ეს ხანა. ადამიანები ცხოვრობენ მხოლოდ პირუტყვულის ცხოვრებით, ჭამენ და სვამენ, სახე გამოთაყვანებული აქვთ, გონება მიჩლუნგებული. ამ ხანაში შეუძლებელია რაიმე მოძრაობა, ცვლილება, რეფორმა!

მხოლოდ დიდად ტანჯულს ან დიდად ბედნიერ ადამიანებს შეუძლიათ ამაღლდნენ უმაღლესს იდეებამდე, შეიგნონ უდიდესი ჭეშმარიტება, იგემონ უმაღლესი სამართლიანობა! მხოლოდ მათ შორის შეიძლება გაჩნდნენ ძლიერი ხასიათები, თავ-გამოდებულნი მებრძოლნი, ადამიანებისადმი შეურყეველის სიყვარულით გატაცებულნი! კაცობრიობის ისტორიას ამშვენებენ ქრისტეს მიმდევარნი ტვირთ-მძიმენი და მაშვრალნი! ალორძინების მოღვაწენი, რეფორმაციისა და მეთვრამეტე საუკუნის გმირები!..

**

დღეინდელი დღე კი წვრილმანის, მეტად წვრილმანის და უწვრილმანესის საქმეების და კაცების ხანაა. პატარა კაცებია და პატარა საქმეები, ან პატარა საქმეებია და პატარა კაცები. განა სხვა დროში დაიწერებოდა პატარა ამბებიც? განა სხვა დროში ვინმე ეცდებოდა, რომ მსხვილის ასოებით მიექცია საზოგადოების ყურადღება რომელისამე საგნისათვის? ვინმე ცრემლებით მოითხოვდა თავისს ღირსების აღდგენას, პატივისცემას, უფლების დაცვას? გაჩუმდებოდა ვინმე, როდესაც სცემდნენ, გააუპატიურებდნენ, ნამუსს ახდიდნენ? ხელს არ გაანძრევდა, როდესაც ამუშავებდნენ, სისხლს გაუშრობდნენ, ტვინს გამოსწოვდნენ, ხელ-ფეხს დაუსახიჩრებდნენ და მერე პანღურის ამოკვრით გააგდებდნენ გარედ ულუკმაპუროდ?

დღევანდელ ცხოვრებას ვერც კი შეამჩნევ კაცი. თითქმის მიკროსკოპი გახდა საჭიროდ, რომ რამე მოქმედება დაინახო გარშემო. დადგა ხანა დეპოებისა, შემნახველ-გამსესხებელ კასებისა, სამარხ კასებისა, ბ. როსტომაშვილის კურსებისა, სხვა-და-სხვა უნიადაგო პროექტებისა, ათას-გვარ საპოლიატივო კომისიებისა, რომელთაც ერთად ერთი საგანი აქვთ, რომ ყოველი საქმე, რომელიც ჩაუვარდება მათ ხელში, უთუოდ დასახიჩრებული დააბრუნონ უკან, უთავო და უხელფეხო.

საზოგადოდ კომისია deus ex machina-ა ყოველისავე საქმის დასამარხავად. როდესაც მაგალითად ხმოსნებს არ მოსწონთ რამე წინადადება, ან ეძინებათ, ან კლუბში მიდიან კარტის სათამაშოდ, ან რანდე-ვუ აქვთ სადმე დანიშნული და მიეშურებიან, „კომისიას გადავცეთო!" დაიყვირებენ ხმა მაღლა.

ჭიათურელებმაც არა ერთხელ მოუწოდეს კომისიას წრევანდელ კრებაზე, არა ერთს საყურადღებო პროექტს მიაძახეს მოწინაამდეგებმა: „ბატონებო! რთული საგანია, სერიოზული საქმეა, ნუ ავჩქარდებით: კარგად მოვიფიქროთ, ამისათვის კომისიას გადავცეთ პროექტი დალაგებით განსახილველადო!"

ამგვარ კომისიებს ჩაუგდეს ხელში მუშებისათვის თავშესაფარის გაკეთება და სადი და იაფი საჭმელის მიწოდება. ბ. ცერცვაძემ მოხსენება წაუკითხა კრებას, საიდანაც სჩანს, რომ ჭიათურის მუშები ცარიელის მჭადით საზრდოობენ. მხოლოდ მათი მძიმე მუშაობა კი მოითხოვს თბილსა და ნოყიერს საზრდოს. ამ ამბავის გაგონებაზე მრეწველებმა მძიმედ ამოიხვნეშეს და მძიმე საქმედ მიიჩნიეს მუშებისათვის ხეირიანის ლუკმის მიწოდება.

მდგომარეობის თაობაზე ინტერპელაცია შეადგინეს და პარლამენტში მთავრობას წარუდგინეს.

ინტერპელაციაში ნათქვამია: სერბია და ბოლგარია ჯარს ამზადებენ საომრად და მაკედონიის საქმეში იქმნება ავსტრო-ჰუნგრეთიც ომში გაბმასო. ამბობენ, მაკედონიის აჯანყებას ავსტრიის უმაღლესი წრეები და თვით გარეშე საქმეთა მინისტრი გოლუხოვსკიც-კი ხელს უწყობენო. გოლუხოვსკის მჭიდრო კავშირი აქვს პოლონელ თავად-აზნაურობასთან და ცოლით ნათესაობა აქვს საფრანგეთის ლეგიტიმისტებთან და ბონაპარტისტებთანო. ერთის სიტყვით, გოლუხოვსკი ძლიერ საშიშ წრეებთანაა დაახლოვებული და თითონაც ისეთი კაცია, რომ ძალმომრეობისა და სისხლის ღვრასაც არ მოერიდება, ოღონდ თავისი ეგოისტური საწადელი-კი შეასრულოს. გოლუხოვსკის პარტია ცდილობს, პოლონეთი გაანთავისუფლოს და იეზუიტებიც ძლიერ დახმარებას უწევენ ამ პარტიას. პოლონეთის განთავისუფლება მარტო თავიანთ ეგოისტურ ინტერესების განსახორციელებლად უნდათ და არა ხალხის სასარგებლოდ. ერთის სიტყვით, ავსტრია უბრალო იარაღად გადააქციეს და ამ იარაღის შემწეობით პოლონელი თავად-აზნაურობა და იეზუიტები თავიანთ განზრახვათა ასრულებას ცდილობენ.

მთავრობას ჯერ პასუხი არ მიუცია სოციალ-დემოკრატებისათვის.

◆ ავსტრიის პარლამენტის კომისიამ განიხილა სამხედრო კანონ-პროეკტი და 18 ხმის უმეტესობით 14 წინააღმდეგ მთავრობის რედაქცია მიიღო. სოციალ-დემოკრატებმა წინადადება შეიტანეს, სამხედრო სამსახურის ვადად ორი წელიწადი დაიდვასო, მაგრამ კომისიაში ამ წინადადებას მარტო 10 კაცი მიემხრო.

ბოლგარია. მაკედონიის კომიტეტის თავმჯდომარემ მიხაილოვსკიმ ცირკულიარით სთხოვა ყველა მაკედონელ ოფიცრებს, რომლებიც ბოლგარიის ჯარში მსახურებენ: გაზაფხულზე თქვენის სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლა დაიწყება და თქვენც მონაწილეობა მიიღეთო. ამ ცირკულიარის პასუხად ბოლგარიის სამხედრო მინისტრმა საიდუმლო ცირკულიარი გამოსცა და მაკედონიელი ოფიცრები გააფრთხილა: მიხაილოვსკის წინადადებას ნუ ასრულებთ, თორემ დაისჯებით და სამსახურსაც დაჰკარგავთო.

საფრანგეთი. ერთმა ჟორესის მეგობარმა გამოუცხადა ერთის გაზეთის თანამშრომელს: ჟორესმა აი რა აზრით დაიწყო დრეიფუსის საქმეზე ლაპარაკიო. ჟორესს მარტო ნაციონალისტების ალაგმვა სწადიან, რადგან ნაციონალისტები დრეიფუსის საქმეს თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ. ჟორესი დაამტკიცებს პალატაში, თუ რა უპატიოსნო ხერხს მიჰმართეს, როცა დრეიფუსი რენში სამხედრო სასამართლომ ხელმეორედ გაამტყუნა. სამხედრო მინისტრად ნამყოფმა გენერალმა ბილიომ სთქვა პირველ პროცესის დროს, დრეიფუსის მომხრეებს კეტი უნდა დავკრათ თავშიო; მერე ესტერჰაზიც მთავარს შტაბს ევედრებოდა, „იმპერატორის გვარდია“ გამოიყვანეთ სალაშქროდაო. ბილიოს „კეტი“ და ესტერჰაზის „გვარდია“, თურმე, ყალბი დოკუმენტი ყოფილა. მართლად, ამ ყალბმა დოკუმენტმა კეტისა და გვარდიის როლი შეასრულა: რენის პროცესის დროს ეს ყალბი დოკუმენტი ადვოკატების დაუკითხავად მოსამართლეებს უჩვენეს და დრეიფუსი გაამტყუნებინეს. ამ დოკუმენტზე ვითომ თითონ იმპერატორ ვილჰელმ მე-II საკუთარის ხელით დაუწერია შენიშვნები. აი, სწორედ ამ დოკუმენტს უჩვენებს ჟორესი პალატას.

ახალი ამბავი

◆ დღეს, 9 თებერვალს, **კერძო კრება** იქმნება ტფილისის საბჭოს ხმოსნებს სახელოსნო სასწავლებლის გამო ატეხილ საქმის შესახებ მოსალაპარაკებლად.

◆ წარსულ კრებაზე საბჭომ დაადგინა, **ქალაქის ხელოსანთა გამგე კომისიის წევრთა არჩევანი** ჯერ არ იყოსო, მაგრამ ქალაქის მოურავის მოადგილეს ხვალ, ორშაბათს, კიდევ უნდა ეს საქმე საბჭოს მოახსენოს და ამ კომისიის წევრები აარჩევინოს.

◆ ხვალ, 10 თებერვალს, ტფილისის ქალაქის **საბჭოს კრებაზე** განსახილველად დანიშნულია, სხვათა შორის, მოწერილება გუბერნატორისა ქალაქის მოურავის თანამდებობაზე კანდიდატის არჩევის შესახებ.

◆ ჩვენ გადმოგვცეს, რომ ინჟენერ კირაკოსოვს შეუმუშავებია **კახეთის რკინის გზის** მიმართულების თავისი პროექტი. ბ-ნი კირაკოსოვი თიანეთზე მიმართულების მომხრეა, მაგრამ საჭიროდ სთვლის, ეს გზა სიღნაღის მაზრიდან ისევ ტფილისზე წამოვიდესო.

◆ 11 თებერვალს საგანგებო **კრება იქმნება კავკასიის სამკურნალო საზოგადოებას**. ამ კრებამ, საქეურნეო საზოგადოების თხოვნით, უნდა განიხილოს საკითხი სოფლად მკურნალობის საქმის მოწყობის შესახებ.

◆ როგორც ვუწყით, **სოხუმში** მალე ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები უნდა მოხდეს. ამომრჩეველთა სიები უკვე გამოუცხადებიათ. სულ ამ ქალაქში 535 ამომრჩეველი ყოფილა.

◆ დღეს, 9 თებერვალს, ქართულ თეატრში დილის **იაფ-ფასიანი წარმოდგენა** დანიშნული. ქართული დასი წარმოადგენს სუნდუკიანცის კომედიას „პეპო“-ს.

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ მთავრობამ განიზრახა **განქორწინების საქმეები** საერო სასამართლოს გადასცეს. უწმ. სინოდმა ამ საკითხის გამო თავისი აზრი ქართლ-კახეთ-იმერეთის სასინოდო კანტორასაც მოსთხოვა.

◆ გუშინ, 8 თებერვალს, მომრიგებელ მოსამართლემ გაარჩია **საქმე ხმოსნის არშაკ ბაღდასარ ზუღდანოვისა**, რომელსაც სავაჭრო სამეურნეო პოლიციის ზედამხედველი ირ. ფურცელაძე უჩივის ცილის დაწამებას. მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევამ გასტანა ნაშუადღევის 2 საათამდე. მომრიგებელმა მოსამართლემ ამ საქმის შესახები განაჩენის გამოცხადება გადასდო 10 თებერვლისათვის.

◆ მივიღეთ **„წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ ახალი გამოცემანი:** „ალი“ და „ქაჯანა“, მოთხრობები ნ. ლომაურისა. ორივე მოთხრობა მშვენიერად არის გამოცემული კარგ ქაღალდზე და სუფთად. პირველი მოთხრობა მეორედ არის გამოცემული, ხოლო მეორე—მესამედ. ეს ორი თხზულება ლომაურისა ქართულ მწერლობაში საუკეთესო საბავშვო და სახალხო მოთხრობებად ითვლება, ამიტომ დიდის ხალისით კითხულობენ ყველანი. ფასი ორივესი მცირეა: ერთი შაურადა ღირს, მეორე—ორ შაურად. „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობა კარგს იქს, თუ ასეთ შინაარსიან და იაფ-ფასიან წიგნაკების გამოცემას მოუხშირებს.

◆ ქუთაისის ოლქის სასამართლოს **სესია ამ თვეში ბათუმს მიდის** სხვა-და-სხვა საქმის განსახილველად.

◆ დღეს, 9 თებერვალს, კრება ექმნება ტფილისის 1 და 2 დედათა გიმნაზიების **ღარიბ-მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებას.** კრებამ უნდა განიხილოს 1902 წლის ანგარიში და აარჩიოს გამგე კომიტეტის წევრნი.

◆ „ნოვ. ობოზრს“. გაუგონია, ვითომ ჩვენი მხრის რკინის გზათა ლიანდაგზე სამუშაოთა გამგეს **ინჟ. ფ. ი. ბუთრინგს** რკინის გზათა უფროსმა სამმართველომ წინადადება მისცა, მანჯურიაში რკინის გზებზე მოძრაობის ნაწილის უფროსობა მიიღეთო.

◆ პარასკევს ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა განცხადება კანდაროვისა იმის **პურის საცხობის** შენების შესახებ. გამგეობამ უარი ჰყო კანდაროვის განცხადება.

◆ **თელავის ქალაქის სამმართველოს** ნათხოვარი ჰქონდა მთავრობასთან, ნება მოგვეცით ლორის გამოკვლევა დავაწესოთ ქალაქის საყასბოზედაო. მთავრობამ ამის ნება დაურთვია და შემდეგი ნიხრი დაუწესებია გამოკვლევისათვის: ლორზე ათი შაური, ბარკალზე—აბაზი. ქალაქის სამმართველოს ეხლა დაუდგენია, 30 თუმანი დაჰხარჯოს გამოსაკვლევ ოთახის საყასბოზე მისაშენებლად და 65 მანეთი მიკროსკოპების გამოსაწერად.

◆ როგორც გადმოგვცეს, დარაქნოვისა და გურგენოვის მაღაზიების **გამქურდველებზე პოლიციას კვალი მიუგნიათ.**

◆ გუბერნატორი სთხოვს ტფილისის ქალაქის გამგეობას **ქალაქის პლანი** გამომიგზავნეთო.

◆ ქალაქის გამგეობას დაუსრულებია ამ წლის **ხარჯების აღრიცხვა** და მოკლე ხანში საფინანსო კომისიას გადასცემს.

◆ ნავთლუღელებს ტფ. გუბერნატორისათვის უთხოვნიათ: რამდენიმე ჩვენში ისეთი, რომელთაც მეტად შეგვაწუხეს ქურდობითა და გთხოვთ თავიდან მოგვაშოროთ ისინი, რომელთაც ჩვენ დაგისახელებთო. თურმე ისე მოხერხებულად სჩადიან ქურდობას, რომ ქურდების დაჭერა თითქმის შეუძლებელი ხდება.

◆ სოფ. გიორგიწმინდაში (ტფ. მაზრაში) ბრმა სიმონს დალაქიშვილი დადიოდა თურმე, რომელსაც ერთი ვირი ჰქონდა და დამტარებლად თვალხედი ვინმე ივანე ავეტიკოვი. ამ დღეებში ავეტიკოვს ბრმა ხევში გადაუგდია, ვირზე შემჯდარა, ტფილისს ჩამოსულა და აქ ვირი სამ მანეთად გაუყიდია. პოლიციას მიუგნია და ავეტიკოვი დაუჭერია.

◆ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი ანგარიში იმ „საცეკვაო და სამუსიკო საღამოისა“, რომელიც „ღარიბ სტუდენტთა კავკასიის საზოგადოება“-მ 12 იანვარს გამართა „კრუჟოკ“-ში: ბილეთები გაიყიდა 2072 მან. ჩაი, შამპანიური, ღვინო და სხვ. 345 მ. 50 კაპ., პრემიები და შემოწირულებანი 237 მ. 15 კ., სულ 2.654 მან. 65 კ. დაიხარჯა: „კრუჟოკ“-ს —171 მ., მუსიკას და მეფანდურეთ—55 მ., დარბაზის მორთულობა, კოტილიონისათვის ნივთები და სხვა 240 მ. 90 კ., სტამბებს—26 მ., „ტფ. ლისტ.“ და “კავკაზ“-ის რედაქციებს განცხადებების დასაბეჭდად 15 მ. 20 კ., ბუფეტის მოწყობა—149 მ. 20 კ., წვრილი ხარჯი 37 მ. 74 კ., მარკები 110 მ. 40 კაპ; სულ 880 მ. 44 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა 1.774 მ. 21 კაპ.

პრემიები შემოსწირეს: 22 მ. 90 კ. მ. ი. არამიანცმა და გ. მ. არაფელოვმა; თავ. ბარათაშვილმა—16 მ. 40 კ., თავ. დ. ზ. მელიქიშვილმა—15 მ., ი. ნ. სვეჩინმა 10 მ. 80 კ., ო. ო. გრუზენბერგმა—10 მ.; 5 მ. და 80 კ. შემოსწირეს: ქნ. მ. გ. ორბელიანისამ, თავ. მ. ი. ორბელიანმა, მ. ო. ფიშერმა, თავ. ი. ს. და ქნ. დ. რ. ჩავჭავაძეებმა, ს. გ. ჩემესოვმა, ტ. ა. ენფიაჯიანცმა; დანარჩენი შემოწირულებანი ხუთ მანეთზე ნაკლები იყო.

„საზოგადოების“ მმართველობა მადლობას უძღვნის დ. რ. ჭავჭავაძისას დიასახლისობის მძიმე მოვალეობის ასრულებისათვის, აგრეთვე დანარჩენთ, რომელთაც შრომა მიიღეს და ხელი შეუწყეს იმ საღამოს შემწირველთა და იმ რედაქციებს, რომელთაც განცხადებები მუქთად დაბეჭდეს.

◆ სოფ. მარტყოფში ილია გოგოლაშვილის საბძელს ცეცხლი გაუჩენია აქედან ცეცხლი სოლ. სულხანაშვილისა, გარსო ჩუჩაშვილისა და მიხ. ახალკაციშვილის საბძლებს მოსდებია და ერთიანად გადამწვარა. ყველას 50 თუმნის ზარალი მოჰსვლიათ.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქუთაისის გუბერნატორს აცნობა კავკასიის საბალნეო საზოგადოებამ, რომ მიმდინარე წელს საზოგადოება გაჰმართავს გუბერნიის სხვა-და-სხვა ადგილას საუბრებს ბალნეოლოგიის შესახებაო.

◆ სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა ადგილობრივმა საგუბერნიო კომიტეტმა და-

---

„ო-ო-ო!“ თქვა ერთმა თურმე. „ჰმმმ!“ თქვა მეორემ. მხოლოდ მესამე ადგა და უფრო გარკვევით გამოსთქვა თავისი აზრი: „ბატონებო! როგორც კარგად ჰხედავთ ყველა, დღეს ჩვენი მუშები მჭადს სჭამენ და ისიც ცივს მჭადსა. ეხლა აქ გვეუბნებიან, რომ ხორცი და პური უნდა მივცეთ საზრდოთო. გთხოვთ გულდადებით ჩაუკვირდეთ შემდეგ გარემოებას: ცივი მჭადი ერთის მხრით და პური და ხორცი, ცხელი ხორცი მეორეს მხრით. ნამეტანი დიდი მანძილია, დიდი ცვლილებაა! მეცნიერებამ დაამტკიცა, ბატონებო, რომ მჭადი, პური და ხორცი სულ სხვა და სხვა ნივთიერებაა. მეცნიერების წინააღმდეგ ვერ წავალთ. ჩემის აზრით, ჩვენ ვერ გადავსწყვეტთ ასეთს სახიფათო საგანს. უმჯობესი იქნება, ამოვირჩიოთ კომისია და მივანდოთ მას: გამოიძიოს და გამოიკვლიოს, შესაძლებელია თუ არა, და მავნებელი ხომ არ იქნება მუშებისათვის, ცივის მჭადის მაგიერ თბილი ხორცი და პური?“ კრება დაეთანხმა ორატორს და სიამოვნებით მიიღო მისი წინადადება, სრულიად დარწმუნებული, რომ კომისიის გადაწყვეტილებისა და შემდეგ კრებამდის მუშებს ცივის მჭადითაც არა დაუშავდათ რა და მოიცდიან.

მოიცდიან, მოიცდიან! დაჩვეულნი არ არიან განა? ეს კარგად მოეხსენებათ ბბ. ი. ნიჟარაძეს, და ბ. მოსეშვილს, მაგალითად...

როგორც დანამდვილებით ვიცით, ნეტარხსენებული ხმოსანი პალმი მთელ თავისს მოღვაწეობას იმით იჩენდა ბათუმის საბჭოში, რომ ყოველი ქართველის წინადადებაზე სიტყვას წარმოსთქვამდა, რომელსაც აუცილებლივ „კომისიით“ დაამთავრებდა. თავადს მეშჩერსკისაც ძალიან უყვარს თურმე სხვა და სხვა კომისიების დაარსება, დიდი კომისიების, საშუალო კომისიების, პატარა კომისიების, კომისიის განყოფილებისა და განყოფილების განყოფილებათა, რადგან ღრმად დარწმუნებულია, რომ ამდენს კომისიასა და განყოფილებაში ყოველივე საქმე აუცილებლივ სადმე მიიმალება, მიიკუნჭება, გაიპარება და გაჰქრება.

ვაი თუ ასეთი გამოდგეს სამეურნეო კომიტეტები? ვაი თუ ტყუილად დაიხარჯა ამდენი მჭერმეტყველობა ტფილისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში! რაღაც ეშმაკურად კი ღიმებოდა მაშინ ბ. პრევოზნიკოვი და ვაი თუ?...

ვაი ბ. ჯანდიერის სოციალურ პროექტების ცოდვა! და ნეტავი ბ. ივ. როსტომაშვილს! ერთი სახელს ვერ მოიხვეჭს, მეორე სახელს ვერ გაიტეხს.

**

ძალიან გაგრძელდა და გამწვავდა დავობა ჭიათურის საქმეების შესახებ.*) ზოგიერთი მწერალი იმდენად გაცხარდა, რომ შავი-ქვის მწარმოებელთა თვით-მმართველობის გაუქმებას თხოულობს, რადგან ნამდვილად იგი არ არის თვით-მმართველობაო. ზოგი მოწინააღმდეგეს ანგარებას სწამებს: შენ პირადის ანგარიშისათვის იბრძვი და არა საზოგადო საქმისათვისო. ერთიც და მეორეც არა ერთხელ გაგვიგონია ჩვენს მწერლობაში, ორივე საზოგადოდ ჩვენი უკულტურობის შედეგია. დღეს თუ ერთი გაიძახის მოწინააღმდეგეს შესახებ საკუთარ ჯიბეს ემსახურებაო, გუშინ მეორე გაიძახოდა ამასვე. დიდი კულტურა, დიდი ბრძოლა და გამოცდილებაა საჭირო, რომ ადამიანი მოწინააღმდეგეს ზნეობრივ პიროვნების პატივისცემით ეპყრობოდეს. საუბედუროდ, ჯერ ჩვენ არ განვვითარებულვართ ამდენად.

როგორც უკვე მქონდა აღნიშნული, მე ჭიათურის საქმეში არ ვეთანხმები რედაქციას, მაგრამ ეს იმას არ ჰნიშნავს, რომ ვეთანხმებოდე ვისმე იმაში ვითომც ჩემი ამხანაგები ამ საქმეში ხელმძღვანელობდნენ არა საზოგადო ინტერესებით, არამედ პირადის ანგარებით. ჩემის ამხანაგების გულ-წრფელობა და ზნეობრივი სიფაქიზე აქ ყოველს ეჭვს გარეშეა და ყოვლად უმართებულოა ამის წინააღმდეგ ლაპარაკი.

მე არ მინდა დაწვრილებით ვილაპარაკო ჭიათურის საქმეების შესახებ. მინდა მხოლოდ მივაქციო ყურადღება საგნის ზოგიერთს მხარეს. რაც უნდა დაცემული იყოს თვით-მმართველობა, ჩვენ ნება გვაქვს ვიბრძოლოთ და შევიტანოთ უკეთესობა თვით-მმართველობაში და ყოველთვის უნდა ვამჯობინოთ თვით-მმართველობა ადმინისტრატიულ წეს-წყობილებას. მხოლოდ ვიკითხოთ: განა თვითონ შავი-ქვის მწარმოებელთა კრების საბჭო პატივსა სცემს ამ თვით-მმართველობას, როდესაც კრება ადგენს აბანოზე 8 ათასის მანეთის დახარჯვას, საბჭო კი ჰხარჯავს 90 ათასს; კრება ადგენს საბჭოს ჭიათურაში გადატანას, საავადმყოფოს აშენებას, სასადილოების გაკეთებას და სხ. და საბჭოს არც ერთი დადგენილება არ მოჰყავს სისრულეში? განა თვით-მმართველობის ღირსებას შეეფერება, რომ სკოლა, სამკითხველო, საავადმყოფო ისე მოუწყობელი იყოს, როგორც დღეს არის? *)

საბჭოს პარტია დღეს უსაყვედურებს ოპოზიციას: შენ თვით-მმართველობას ძირს უთხრიო. ამასვე ეუბნებოდა იგი ოპოზიციას (და პოლიციითაც ემუქრებოდა) 1900 წ. კრებაზე, როდესაც ბ. ბ. ემერიკი, მარკოვსკი და სხვა მოხელენი საბჭოს პარტიის უძლიერესნი ბურჯნი იყვნენ. მაშინ სათაკილოდ არ მიაჩნდა საბჭოს პარტიას ემერიკთან შე-

---

*) ვბეჭდავთ ჩვენის თანამშრომლის შენიშვნებს ჭიათურის შავი-ქვის საქმეებისა გამო, თუმცა, როგორც იციან მკითხველებმა, ამ არა პრინციპიალურს საკითხში არ ვეთანხმებით მას. რედ.

*) საბჭომ მაშინ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება საავადმყოფოს, როდესაც 1900 წ. ადმინისტრაციამ აიძულა იგი, მაგრამ დღესაც ვერ დაუმყარებია შიგ წეს-რიგი.

ადგინა, იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ ქუთაისში დაარსდეს სახელმწიფო ბანკის განყოფილება.

◆ ქუთაისის საქველ-მოქმედო საზოგადოებას აზრადა აქვს დაარსოს ღარიბებისათვის საფეიქრო სახელოსნო, რის შესახებაც ამ ჟამად საზოგადოების გამგეობა საჭირო ცნობებს ჰკრებს.

რუსეთის ქრონიკა

◆ სოფლის საჭიროებათა პეტერბურგის საგუბერნიო კომიტეტმა მეურნეობის შემაფერხებელ ფაქტორებად სცნო: სახალხო განათლებისათვის სკოლების სიმცირე; არყის მონოპოლია, რომლის მეოხებითაც სოფლის ნაცვლად დიდ-ძალი ფული ხაზინაში იკრიბება; გადასახადების სიდიდე; საეკკლესიო დღესასწაულების სიმრავლე და სხვანი.

◆ 2 თებერვალს პეტერბურგში კრება ჰქონდა სალიტერატურო ფონდის წევრებს. ამ ჟამად რუსს ლიტერატორთა ფონდს სულ 404 წევრი ჰყავს. სულ შარშან ფონდს გაუცია (შემწეობა აღმოუჩენია ლიტერატორთა და იმათ ობოლთათვის) 30,793 მანეთი. ფონდის თანხა ამ ჟამად რამდენსამე ასი ათას მანეთს უდრის.

◆ ამ ჟამად კრებაა პეტერბურგში რკინის გზის წარმომადგენელთა. მთავარ საგანს კრებისას შეადგენს საკითხი რკინის გზისთვის მოსამსახურეთა მომზადების შესახებ. ჰფიქრობენ, დააწესონ განათლების ცენზი რკინის გზაზე სამსახურისათვის ახლად შემომსვლელთათვის.

სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში

7 თებერვლის კრებას, რომელსაც თავმჯდომარეობდა ბ-ნი სულთან კრიმ-გირეი, დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო, რადგან ამ საღამოს უნდა მოესმინათ მოხსენება ინჟ. ითს. ზ. ანდრონიკაშვილისა კახეთის რკინის გზის მიმართულების შესახებ. პირველად მოხსენება წაიკითხა ბ. ა. შან-გირეიმ კავკასიაში სარწყავ არხების გაყვანის შესახებ. მომხსენებლის აზრით, სარწყავ არხების საქმეს ორ-ნაირი მნიშვნელობა აქვს: იგი სარგებლობას მოუტანს მიწათ-მოქმედებას და ამას გარდა, როგორც კომერციული საქმე, ფულს შესძენს არხის გამყვანთ. სხვა ქვეყნებში სარწყავ არხებისთვის კარგა ხანია დიდი ყურადღება მიუქცევიათ. საფრანგეთში, მაგ., ამ სამოცის წლის წინად მინდვრების მორწყვის საქმე ისეთსავე მდგომარეობაში იყო, როგორშიაც ეხლა კავკასიაა. 1845 წელს საფრანგეთის მიწათ-მოქმედების სამინისტრომ გამოსცა კანონი ამ საგნის შესახებ და ამ დროიდან, როგორც მთავრობა, ისე კაპიტალისტნი და მცხოვრებნი შეუდგნენ არხების გაყვანას. 1856 წელს საფრანგეთის მთავრობამ გადასდო 100 მილიონი ფრანკი. საფრანგეთი დღეს მოფენილია სარწყავ არხებით. უმთავრესად არხები გამართეს მიწის მუშათა ასოციაციებმა, კერძო კაცებმა და ამხანაგობებმა. სპარსეთსა, ეგვიპტესა, კავკასიასა, ინდოთსა, ჩინეთსა და შუა აზიაში წინად დიდ ყურადღებას აქცევდნენ ყანების მორწყვასა და არხების გაყვანას. ეხლაც ბევრგანაა დარჩენილი ძველი არხები. ესპანიაშიაც დიდ ფულს ჰხარჯავენ ეხლა არხებისთვის, თუმცა კარგა ხანია ამ საქმეს შეუდგნენ იქ. არაგონის არხის გასაყვანად მთავრობამ გადასდო 160 მილიონი რეალი. არხი ტაუსტზე დაუჯდა მთავრობას 26 მილიონი რეალი და სხვა. ასევეა იტალიაში. მაგრამ ყველაზე მეტ ფულს არხებისთვის ინდოეთში ჰხარჯავენ. 1866 წელს მთავრობამ ამ საქმისთვის გადასდო 460 მილიონი ფრანკი. აქედან 1876 წლამდე დაჰხარჯეს 390 მილიონი. ეგვიპტეში დღე-24 ათასი დესეტინა მიწა ირწყვება არხებით. დას ნარჩენ ადგილებში ხელოვნური ტბებია გამართული. ამ სარწყავ ადგილებით სცხოვრობს 6 მილიონზე მეტი ადამიანი. ადგილის მორწყვას დიდი მნიშვნელობა აქვს რადგან, სარწყავი არხი ფასს უმატებს ადგილს. საფრანგეთში ის ადგილი, რომელიც 100 ფრანკი ღირდა, არხის გაყვანის შემდეგ 8 და 10 ათას ფრანკად დაფასდა.

კავკასიაში მორწყვას რომ ყურადღება მიექცეს, მტკვრისა და არაქსის ხეობები დიდს სიმდიდრეს შესძენდა ადგილობრივ მცხოვრებთ. მაგრამ ჩვენში ეს საქმე სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული. უმთავრესი მიზეზი ამისა თვით მცხოვრებთა დაუდევრობაა. შემდეგ მომხსენებელი შეეხო იმას, თუ რამდენად შესაძლებელია კავკასიაში არხების გაყვანა; როგორ უნდა ისარგებლონ მცხოვრებთ სარწყავად წვიმისა, თოვლისა და ზამთრის წყლებით და სხვას. დასასრულ მომხსენებელმა საჭიროდ სცნო: 1) იმ ადგილებში ტყეების გაშენება, სადაც მდინარეების და ხევების სათავეა. 2) იქ სადაც მდინარეები და ხევები არ არის, უნდა გაიმართოს ხელოვნური ტბები წვიმის წყლის შესაგროვებლად. 3) სადაც სარწყავი წყლებია, გაიმართოს ან უკეთ მოეწყოს უკვე არსებული არხები. 4) დაარსდეს განსაკუთრებული ფონდი სარწყავ არხების გამყვანთა დასახმარებლად; 5) ნება მიეცეთ მსურველთ გაიყვანონ არხები ისე კი, რომ ყურადღება არ მიექცეს, დასჭირდება თუ არა მომავალში მდინარე ვისმე; 6) დაწესდეს კონკურსები და პრემიები სარწყავ არხების გასაყვან პროექტების ავტორთა დასაჯილდოებლად; 7) მიეცეს სახელმწიფო ადგილები სარწყავად კერძო პირებს 24 წლიდან 90 წლამდე და 8) გადათვალიერებულ იქმნას წყლის შესახები კანონები. კრებამ მცირე კამათის შემდეგ მიიღო ბ-ნ ა. შან-გირეის მოხსენება, რომელიც წარედგინება განსახილველად განსაკუთრებულ საბჭოს პეტერბურგში.

შემდეგ თავისი მოხსენება წაიკითხა თავ. ითს. ანდრონიკაშვილმა. ამ მოხსენებას შემდეგ გაგაცნობთ მკითხველს.

წერილი ლეჩხუმიდან

ხალხის გაჭირვება.—თავ. მინგრელსკის ადგილების გაყიდვა.

ლეჩხუმს წელს მეტად სუსხიანი ზამთარი გვწვია. გვფიქრობდით, ახალი წელი ამინდსაც შეგვცვლიდა, მაგრამ მოვსტყუვდით. იანვარსა და თებერვლის დასაწყისში აქ დიდი თოვლი მოვიდა. დიდს გასაჭირში არიან მეგიდრნი საქონლის საკვების გამო. ასი კონა ჩალა, რომელიც აქამდის ერთ-ორ მანეთად ფასობდა, წელს ხუთ-ექვს მანეთად ფასობს. ამ ბოლოს დროს სიმოგზრიც არსად არის. უფრო გაჭირვებაში არიან, რასაკვირველია, გლეხნი, რომელთაც ეხოცებათ საქონელი. ბზე და თივა თუ-კი სადმე, ფასს ნუღარ იკითხავთ. სოფლებში ყველგან ქალთა და ბავშვთა სიტიტვლე და უშუშობა. ერთის სიტყვით, გულს უკლავს ადამიანს აქაურ სოფლის უნუგეშო სურათი. ამაებს დაუმატეთ წრევანდელი მოუსავლობა და ადვილად წარმოიდგენთ ხალხის უკიდურესს მდგომარეობას.

აქ გაიყიდა აწ გარდაცვალებულის უგანათლ. თავ. ნიკოლოზ მინგრელსკის რამდენიმე ნაკვეთი ადგილი. მაგრამ ეს ადგილები ისევე იმათ ჩაიგდეს ხელთ, რომელთაც უიმისოდაც ბევრი აქვთ. ამის მიზეზი ის იყო, რომ ადგილი წვრილ ნაჭრებად არ დაჭრეს და არც საჯარო გაჭრობა დაჰნიშნეს. ამ ორმა გარემოებამ ხელი შეუწყო „მსუქანს" და შეუშალა „მჭლეს". სად შეეძლო ღარიბ გლეხს ექვსისა და შვიდის ქცევა ადგილის ერთად შეძენა მაშინ, როდესაც ქცევა ოთხას-ხუთას მანეთად იყიდება? რიგიანი და სამართლიანი იქნებოდა, ეს ადგილები რომ დაენაწილებინათ, საჯაროდ გაეყიდნათ და მით საშუალება მიეცათ და გლეხთათვის ცოტა რამ შეეძინათ.

როგორც გავიგეთ, კვლავ გაიყიდება მინგრელსკის ადგილები. კარგი იქმნება, ვისზედაც ეს საქმეა დამოკიდებული, შეაძლებინონ გლეხებს ადგილების შეძენა. საჭიროა ნება მიეცეს ყველას, ვისაც რამდენი შეუძლია, იმდენი იყიდოს და არ გახადონ სავალდებულოდ ხუთისა და ათის ქცევის ერთად შესყიდვა.

ჭოლ. დადეშქელიან-გიორგიან-ზვანი

წერილი თელავიდან

მეჯლისები.—თელაველების გულ-მავიწყობა.—სამკითხველო

თელავის შეძლებული ნაწილი და მაზრის თავად-აზნაურობა ამ ჟამად მეჯლისებით ირთობს თავს. მეჯლისებსაც ამ ბოლოს დროს მოუხშირეს—2 თებერვალს გაიმართა და 14-ც აპირობენ. პირველი გაიმართა აქაურ წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის სასარგებლოდ კნ. მ. ჩოლოყაშვილის გამგეობით, ხოლო მეორე ქ-ნ ვოლოხოვის მეთაურობით გაიმართება. მეჯლისებს ბევრი ხალხი ესწრობა და საზოგადოება არ იშურებს წვლილს სიმპატიურ საქმისათვის. მაგრამ საზოგადოებასაც მოსწყინდა სულ ცეკვა, და აგი ამისათვის 14 თებ. მეჯლისს მასკარადიც მიუმატეს. რასაკვირველია, ერთფეროვნობა მოსაბეზრებელია, მაგრამ მასკარადის მაგიერ ერთი ვოდევილი ან საკონცერტო განყოფილება რომ მიემატებინათ, უმჯობესი იქმნებოდა: ამით საზოგადოებასაც მიიზიდავდნენ და მეტ ხარჯსაც (კოსტიუმების მომზადებაზე) თავიდან აცდენდნენ.

როგორც საზოგადოდ ქართველებს, ჩვენ თელაველებსაც სხვა ზნე-ჩვეულებასთან ისიც გვჭირს, რომ, როცა სასარგებლო კაცი ცოცხალია და ჩვენთან არის, გამაუფხობთ იმის ძვირფასის ნიჭით. მხოლოდ თუ ფეხი წაუსხლტა, მოუძღვრდა, ძირს დაიხარა და შველას ჩვენგან ჰსაჭიროებს, მაშინ შორს გავურბივართ, ხელს არ ვაწვდით ასაყენებლად და თვალს ვარიდებთ. მე მოგახსენებთ ავადმყოფ არტისტის გლ. ალექსი-მესხიშვილის შესახებ. ზაფხულობით არტისტი ხშირად მოდიოდა და გვატკბობდა თავისის თამაშობით. მაგრამ ეხლა, როდესაც დახმარება ეჭირვება, სულაც არ გვაგონდება იგი.

საცოდავი ჩვენი სამკითხველო ვერ იქმნა, ვერ ჩავარდა კალაპოტში. აქაურ ახალგაზრდობას ეს გაჰხდომია საქმედ და ხან აქეთ ეწევიან, ხან იქით. ამ გაწევაში კიდეც-კი ჩამოახიეს. ეხლაც არა სასურველი ხმები ისმის იმის კასის შესახებ. საჭიროა, გამგეობამ, რაც შეიძლება მალე, მოახდინოს კრება ანგარიშის განსახილველად.

№

დაბა-სოფლები

სამტრედია (იმერეთი). განუწყვეტელ წვიმა-თოვლ-ჭყაპის გამო მეტად წახდა ქუჩები და გზები ჩვენს დაბაში. ბევრგან სიარულიც კი შეუძლებელია. საჭიროა ბოქაულმა ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და შეაკეთებინოს ქუჩები. საჭიროა აგრეთვე ჩვენმა „მამებმა" იზრუნონ დროით და იშოვონ ადგილი ბულვარისათვის. ზაფხულობით, პაპანაქებ სიცხეში, დაბაში ყოფნა გასაჭირია: ხალხი სამიკიტნოებში ზის და ბუზებს ძლივს იგერებს. ან კი სად წავიდეს! ბულვარის მაგიერობას ასრულებს სადგურის ბაქანი, სადაც ხალხი გაჭედილია და ერთი მეორეს გვერდს ძლივს აუქცევს.

სასოფლო სამკურნალოს დაარსების შესახებ აქ შესდგა განაჩენი ორ იენისს 1902 წელს. განაჩენზე 367 კომლში უწერია ხელი 277 კომლს, ესე იგი ორ წილზე მეტს, რაიც კანონიერად ითვლება და, იმედია, ახალი ბოქაული დროზე გაჰგზავნის, სადაც ჯერ არს.

სავაჭრო სკოლის დაარსების შესახებ 1902 წელს სამჯერ მოხდა კრება სამტრედიის ორკლასიან სამინისტრო სასწავლებელში, ზედამხედველის ბ-ნი ჯაშის თავმჯდომარეობით. მახლობელ სკოლათა მასწავლებლებმაც განაცხადეს სურვილი უფასოდ შრომისა. შესდგა ოქმი და გაეგზავნა სახალხო სასწავლებელთა ინსპექტორს, რომელმაც მაშინვე გაჰგზავნა შუამდგომლობა სამოსწავლო ოლქის მზრუნველთან და დღე-დღეზე ველით დამტკიცებას.

ქიქინაშვილი

ჭიათურა (იმერეთი). საოცარი ზამთარი დაგვიდგა წელს. განუწყვეტლივ თოვს, წვიმს და ქარი ჰქრის. ათსში ერთხელ, როცა გადაიღებს ხოლმე, ისე გაჭყინავს, რომ მუშაობა შეუძლებელია. მუშა-ხალხადარი ზოგი სოფლებშია მოწყვეტილი, ზოგიც ჭიათურაშია უსაქმოდ. სოფლებიდან ამბავი მოდის, რომ თოვლი ორ არშინს აღემატებაო. ჭიათურაშიაც არ არის ნაკლები. ამას გარდა ზარალიც და მარცხიც ბევრი მოხდა: ჭალის მთისაკენ ოთხი კაცი დაახრჩო ზვავმა. თითონ ჭიათურაში ბევრ ადგას ჩამოაქცია ქვის კედლები და შენობები. საგრძნობელი ზარალი

რთება. განა საბჭოს თავმჯდომარე ემერიკისა და ექსპორტერების, მსხვილის მწარმოებლების შეწყობით არ იქმნა არჩეული?

დღეს ბ. ზდანოვიჩს გვიხატავენ, როგორც წვრილ-მწარმოებლების პატრონს: აგერ წვრილები შეაერთა, სინდიკატი დაარსა და მედგრად ებრძვის მსხვილ მწარმოებლებსაო. 1900 წლის კრებაზე ბ. ზდანოვიჩს არ ეტყობოდა ასეთი გულ-მტკივნეულობა წვრილებისადმი. პირიქით აშკარად ამბობდა: როგორც საბჭოს თავმჯდომარე ვალდებული ვარ წვრილსა და მსხვილ მწარმოებლებზე ერთ-ნაირად ვიზრუნოო. მას შემდეგ შეიცვალა საბჭოს თავმჯდომარე? არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში დღევანდელი სინდიკატი, რომელსაც უწოდებენ წვრილების შეერთებას, არ არის ბ. ზდანოვიჩის მიერ შექმნილი. სინდიკატის საქმე ილძრეს და დაიწყეს სულ სხვა პირებმა. ბ. ზდანოვიჩი იძულებული იყო მერე გაჰრეოდა საქმეში და გაჰძღოლოდა. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ სინდიკატს ჯერ-ჯერობით თვალ-საჩინო არა გაუკეთებია და მაგისთანა სინდიკატი ვერასოდესაც ვერ გაუმაგრებს წელს ჩვენ წვრილ მწარმოებლებს.

ერთი შენიშვნა კიდევ: ხშირად ამბობენ, რომ კ. ჩიკვაიძემ და ბოროტმა ელემენტებმა ნიადაგი მოუმზადეს შავი ქვის მწარმოებელთა ოპოზიციას 1900 წელსაო. ეს შემცდარი აზრია. პირადად მე ადგილობრივ ვიცნობ საქმეს და კარგად ვიცი, რომ მაშინდელ ოპოზიციის ნიადაგი მოუმზადა და შექმნა იგი საბჭოს უმოქმედებამ და წვრილ მწარმოებელთა ბეტანელმა მდგომარეობამ, რომელთა შესახებ საბჭო სრულებით არ ჰზრუნავდა. მერე ბ. ჩიკვაიძე რომ მიემხრო ოპოზიციას, ოპოზიციამ რატომ ხელი არ ჰკრა?

საკვირველია: როდესაც ბ. ს. ჯაფარაშვილებს სჭირიათ კ. ჩიკვაიძე და მასთან მოლაპარაკება აქვთ, როდესაც თვითონვე მიმართავენ კალისტრატისეულ სააგიტაციო საშუალებას, ეს არაფერია. მაგრამ როდესაც მათი ოპოზიციასთან ერთად ბ. ჩიკვაიძე ვისმე შავს ჩაუგდებს, ეს მომაკვდინებელი ცოდვაა!

* *

მეტად სამწუხარო ამბავს მატყობინებს ერთი ჩემი ნაცნობი. ძნელი დასაჯერებელი ამბავია, მაგრამ ისეთი სანდო პირია ჩემი ნაცნობი, რომ არ შემიძლია რაიმე ეჭვი შევიტანო მის სიტყვებში. კარგი ხანია უნივერსიტეტი გაათავა. ამ შობებზე თავისი alma mater-ი მოუნახულებია, უნახავს იქაური პროფესორები, ქართველი სტუდენტები და ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება მოუხდენიათ უკანასკნელებს.

„არ მოველოდი, თუ ასეთს უსაქმო და საზოგადოებრივ ინტერესს სტუდენტებს ვნახავდი სადმეო, დალონებულად მწერს ჩემი ნაცნობი: დღეს №-ში ასამდე ქართველი სტუდენტია, მაგრამ მათში ორი და სამი არ მოიპოვება მშრომელი და სერიოზული ადამიანი. რის მშრომელი! თითქმის სრულებით არაფერს არ აკეთებენ და არ ჰკითხულობენ, ზოგიერთების ბინაზე ერთს წიგნს და უბრალო ქაღალდს ვერ ჰნახავ... მთელს დროს **კარტში, არითმ-რუშკას თამაშში**, არშიყობაში და ქეიფობაში ატარებენ. ერთს დღეს რომ ერთთან აქვთ დანიშნული დროს გატარება, ხვალ მეორესთან, ზეგ მესამესთან და ასეთ მთელი კვირის განმავლობაში. უნივერსიტეტში თუ დადიან არა იმიტომ, რომ ლექციებს ყური დაუგდონ, არამედ გასართობად და სალაზღანდაროთ. პროფესორები ამბობენ: წინად ქართველები სამაგალითო სტუდენტები იყვნენ, დღეს კი მათთან მეცადინეობა მოუხერხებელიაო...

არც ისე სტუდენტების საზოგადოებრივ ცხოვრებაში იღებენ მონაწილეობას... უწინ თუ სხვებს მეთაურობდნენ, დღეს სხვებსაც არ მიჰყვებიან უკან. „არ ვიცი, რა ვქნაო, მითხრა ერთმა პროფესორმა: რა ამბავია ეს! ყოველთვის სიყვარულით ვესაუბრებოდი ქართველ სტუდენტებს, ეხლა კი ისე გაურბით სერიოზულ ლაპარაკს, როგორც ჭირსა და უბედურებას. რამ დასცა ასე ეს ადამიანები, რამ მოუწამლა გულიო?"...

ოცწერ ყველაფერს ამას და კარგი იქნებოდა, რომ ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა ყურადღებას მიაქცევდეს ამ სამწუხარო მოვლენასაო".—ასე ათავებს ჩემი ნაცნობი თავის წერილს.

მართლაც საყურადღებოა და ძლიერ საყურადღებოც ჩვენი სტუდენტების სულიერი და გონებრივი მდგომარეობა. ყოველი ერი სიყვარულით შეჰყურებს თავისს მოსწავლე ახალგაზრდობას, განსაკუთრებით ჩვენისთანა გარემოებაში მყოფი ერი. მოსწავლე ახალგაზრდობასთან დაკავშირებულია უკეთესი მომავალი და ვინც ამ მომავლისაკენ იცქირება, მას არ შეუძლია არ ეინტერესებოდეს სტუდენტობა.

პირადად მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ქართველ სტუდენტებში შედარებით წინანდელზე მეტია სერიოზული და შეგნებული ადამიანი. მაგრამ ამასთანავე არ შეიძლება იმის უარყოფაც, რომ ჩვენი ცხოვრების დაწვრილმანება და დაცემა შეეხო მოზარდ თაობასაც და სტუდენტებში ჩნდებიან ისეთი ყოვლად უმსგავსი ტიპები, რომლებიც წინად არ იყვნენ.

ყოველს შემთხვევაში, ვიდრე პრესსა რასმე აზრს გამოსთქვამდეს ზემომოყვანილ ამბის გამო, საჭიროა თვითონ სტუდენტებმა გამოსთქვან თავისი აზრი, თვითონ ამხანაგებმა ამხილონ, რაც რამ სიცუდეს ჰხედავენ სტუდენტებში. მათ უკეთ იციან საქმის გარემოება, ვიდრე ჩვენ და იმედია, არ დაიზარებენ და ყოველ მხრიდან მოგვაწვდიან თავისს დაკვირვებას და ფიქრებს.

მაშ, მოვუსმინოთ ჯერ ჩვენს უმცროსს ძმებს!

ნიკუშა.

Доз. ценз. Тифлисъ, 8 Февраля, 1903 г.

მოუვიდა გლ. ურდის, რომლის ფურნესაც 30 იანვარს დაეცა ფერდობიდან მოგლეჯილი ქვისა და მიწის ზვავი და ერთიანად დააქცია შენობა; ქვები წინ შარაზე გადმოცვივდა; ეს ქვები შემდეგში ნაღმებით დაამტვრიეს. კიდე კარგი, რომ ოჯახი, რომელიც ფურნეს პატრონს ზედა სართულში ჰყავდა, რამდენიმე დღის წინად წაიყვანა, თორემ საცოდაობა დატრიალდებოდა. გახშირდა ავადმყოფობაც.

ა. წიფურჩაძე

დიდი-თონეთი (ქართლი). რადგან ჩვენი სოფელი მაღლობ ადგილზე მდებარეობს, ამიტომ დასავლეთის ცივი ქარი ზამთრობით ხშირად გვეწვევა ხოლმე. ხალხი ხშირად ცივდება ამ ქარზე და ესალმება წუთი-სოფელს. 14 იანვარს ამოვარდა დასავლეთის ძლიერი ქარი და დღემდის ანადგურებს მუშა ხალხის ნაშრომს, რომელსაც უწყალოდ ჰკერში ჰფანტავს. 26 იანვარს იმისთანა ძლიერმა ქარმა დაჰბერა, რომ სულ ძირს გადმოყარა სახლებისა და სხვა შენობების კრამიტი; თივების ძირები ხომ უმეტესი ნაწილი დაჰგლიჯა და გაჰფანტა ჰკერში. ერთის სიტყვით, ქარმა დიდ-ძალი ზარალი მიაყენა მცხოვრებთ.

29 იანვარს ცეცხლი გაუჩნდა აქაურ მცხოვრების გასიდ თაქთაქიშვილის ხის სახლს. ცეცხლს ხელს უწყობდა გაძლიერებული ქარი; საბედნიეროდ, სახლის პატრონისა და ახლო მახლო მცხოვრებთა მეცადინეობით, ცეცხლი ჩააქრეს და სხვა მცხოვრებთ უბედურება ააცდინეს.

სოფლის მეთვალყურე

წვრილი ამბები

პოსტ-სკრიპტუმი. გერმანელი პოეტი შუბერტი ერთხელ ამტკიცებდა ერთს საზოგადოებაში: არც ერთ ქალს არ შეუძლია წერილი ისე დასწეროს, წერილის ბოლოს პოსტ-სკრიპტუმი არ მიაწეროსო.

—შემდეგი წერილი დაგიმტკიცებთ, რომ თქვენ მართალი არა ხართო,—უთხრა პოეტს ერთ-ერთმა მანდილოსანმა.

დიდი ხანი არ გასულა, შუბერტს წერილი მოუვიდა ამ მანდილოსნისაგან. ბოლოში ეწერა:

P. S. ვინ არის მართალი, მე თუ თქვენ?

* *

მილიონერების მდიდარი ბავშვები. დაუჯერებელ ამბებს მოგვითხრობენ ნიუ-იორკის გაზეთები გამოჩენილ მდიდარ ამერიკელთა ჩვეულებაზე, როგორი საჩუქრების დარიგება სცოდნიათ ამ ვაჭრებს. კარნეჯის თავისს ხუთი წლის ქალის მარგარიტასთვის საშობაო საჩუქრად მიუძღვნია სასახლე, რომელსაც 12 მილიონად აფასებენ. ორი თვის ვაჟს ვილიამ კლარკს, სათამაშოების მაგიერ, ხუთი მილიონი ნაღდი ფული აჩუქა მამამ. ეს კიდევ შედარებით ცოტაა იმ საჩუქართან, რომელიც ორი წლის ჯონ ბროკონმა მიიღო მამასაგან: მოყვარულმა მშობელმა თავისს შვილს შობა-ახალწელიწადი სამოცდა ხუთმეტ მილიონ ნაღდ ფულის ჩუქებით მიულოცა. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰენრი ვანდერბილტი, ყველა ბავშვებში უფრო მდიდარია, რადგან ეხლავე აქვს ამ ბავშვს თავისს საკუთრებად ხუთასი მილიონი ნაღდი იმის გარდა, რასაც მამა კიდევ დაუტოვებს სიკვდილის შემდეგ.

მოდი და ნუ იტყვი, ამერიკა სწორედ ის ქვეყანაა, სადაც მოულოდნელი და დაუჯერებელი ისე სრულდება, როგორც ჩვენებურ ზღაპრებში ხშირად აღინიშნება ხოლმე. საბრალო ევროპაც ყურს უგდებს ამ ამბებს და ოხვრა-ხვნეშით პირში ნერწყვი მოსდის მეტის-მეტ მადასაგან...

* *

სულთან აბდულ-ჰამიდი. დაუსრულებია ოსმალეთის პოლიტიკურ ისტორიის წერა იმ დროს განმავლობისა, რაც იგი სულთანად არის. ეს ნაწერები მხოლოდ აბდულ-ჰამიდის სიკვდილის შემდეგ გამოიცემა.

* *

უზარ-მაზარი ტრესტი. მილიონების მეფემ პირპონტ მორგანმა დააარსა ოკეანოში მოსიარულე გემთა ამერიკელ საზოგადოებების ტრესტი, რომელსაც 12 ვეებერთელა გემის აშენება შეუკვეთნია და ეღირება 24 მილიონი დოლარად, ჩვენ ფულზე—40 მილიონ მანეთზე მეტი. 6 გემი ამერიკაში უნდა გააკეთონ, ექვსი-კი—ინგლისში.

* *

ცოცხალი გამოფენა მაღაზიების ფანჯრებში. ჩიკაგოში ტანთ-საცმელის ერთ მოვაჭრეს ისეთი ხერხი მოუგონია, მოცილეთ გადააჭარბოს. ვეებერთელა ფანჯრებში ცოცხალი გამოფენა გაუმართავს: ერთ ფანჯარაში ვაჟის საწოლი ოთახია მორთულ-მოკაზმული, მეორეში,—რესტორანი, მესამეში—საბალო დარბაზის ერთი კუთხე. საწოლ ოთახში, რა თქმა უნდა, საუკეთესო მოწყობილობა-მორთულობაა დალაგებული და აქ ახალგაზდა ყმაწვილი კაცი ტანთ-იცვამს; ემსახურება ზანგი. ყველაფერი ისე ხდება, როგორც ნამდვილადაა: ყმაწვილ კაცს მშვენიერი ცისფერი ხალათი აცვია, დიდ-სარკეს წინ ზის და მოსამსახურე პირს ჰპარსავს. ამის შემდეგ ზანგი ხალათს გახდის და ყმაწვილი შავ აბრეშუმის პერანგის ამხანაგში რჩება, რომელსაც სარტყელი ძვირფასად მოქსოვილი აქვს. ამ დროსვე მნახველს შეუძლია კარგად გაარჩიოს ახალის მოდის ძვირფასი წინდები და ჩახსაკრავი. ზანგის დახმარებით კოპწია ყმაწვილი კაცი დინჯად შეუდგება ჩაცმა-დახურვას. ამ დროს მაღაზიის პატრონი ცდილობს გამოალაგოს ფანჯარაში რაც-კი რამ საუკეთესო აქვს: სულ ნაირ-ნაირი და ახალ-ახალ მოდის ყელსახვევები, პერანგები, საყელოები, სახელოები, ჟილეტები, წაღები და სხვა. ზანგი ამაებს თავისს ბატონს მიართმევს ასარჩევად. ბოლოს პალტოსა და ხელთათმანებს ჩაიცვამს, ცილინდრს ხელში აიღებს, აქეთ-იქით გარედ-მდგომ ხალხს სალამს მისცემს და გზას გაუდგება. ასე ამ გვარად რამდენჯერმე განიმეორებენ ამ ფანჯარაშიაც და დანარჩენებშიაც შესაფერისად. ჩიკაგოს მცხოვრებთ ასეთი მეტის-მეტი გამოცხადება შინაურის ტუალეტისა პირველ ხანებში ეუცხოათ და გამწყრალიყვნენ კიდეც, მაგრამ მერე შეჰჩვევიან და მთელი დღე აუარებელი ხალხი აწყდება თურმე ამ მაღაზიის ფანჯრებს. ბევრი ქალებიც ყოფილა ცოცხალ გამოფენის მნახველებში.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 თებერვალი

პარიჟი. ხოლუნიცკში კარგის ჯიშის ცხენების მომშენებელის, პოკლევსკი-კოზელის საქმეების გამო საკონკურსო მმართველობას ცნობა მოუვიდა, რომ უმაღლესად ნება-დართულია, 600 ათასი მანეთის სესხი მიეცეს ცხენების მომშენებელს, რომ ხალხი უზრუნველ ჰყოს.

სოსნოვიცი. მაღნებში მომუშავემ გერმანელმა დუბელმა ორჯელ გაისროლა რევოლვერი, რომლითაც შტეიგერი ძერძეევსკი კისერში დასჭრა და თვითონ სასიკვდილოდ დაიჭრა თავში. მიზეზი სიკვდილის განზრახვისა ის იყო, რომ დუბელი სამსახურიდან დაითხოვეს.

ვენა. პალატამ მიიღო სამხედრო კანონ-პროექტი. შემდეგი კრება 14 თებერვალს იქმნება.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. კრანბორმა გამოაცხადა: ინგლისსა და რუსეთს შუა ხელ-შეკრულობა ძალაში დარჩება კიდევ ერთის წლით მას შემდეგ, როცა ერთ-ერთი ხელ შეკრულობის დამდებთაგანი გამოაცხადებს, აღარ მსურს ხელ-შეკრულობის განგრძობაო.

ვენა. გაზ. „კელნიშე ცაიტუნ“-ვი რეფორმების შესახებ ავსტრო-რუსეთის მიერ შედგენილ პროექტს აცხადებს. ამ პროექტით ილდიზის სასახლესა, პროვინციის მმართველობათა და ხალხს შუა ორი ახალი დაწესებულება უნდა იქმნეს. სულთანმა უნდა დაჰნიშნოს გენერალ-ინსპექტორი, რომელსაც ვალიების (გუბერნატორები) შესახებ დიდი უფლებები ექმნება მინიჭებული. გენერალ-ინსპექტორი სახელმწიფოთა ზედამხედველობის ქვეშ იქმნება და სახელმწიფოებს შეეძლებათ წინააღუდგნენ ამის დათხოვნას. ოტომანის ბანკი შუამავალ დაწესებულებად უნდა იქმნეს სახელმწიფო გადასახადების აკრებაში, მაგრამ სახელმწიფოთა ზედამხედველობით კი.—თუმცა ბოლგარიის მაკედონელთა წრეებში უარს ჰყოფენ, მაგრამ მაკედონიაში არეულობა აუცილებელია. ბოსნიაში ამტკიცებენ, რომ მაკედონიაში მხოლოდ პარტიზანული ომები თუ გაიმართება და არა საერთოდ აჯანყებაო.

სოფია. კრებამ ხმის უმეტესობით მოიწონა მაკედონელ კომიტეტების დახურვა. ამ საქმის შესახებ კამათის დროს მინისტრ-პრეზიდენტმა სთქვა: რუსეთი მუდამ ურჩევდა ბოლგარიას, მშვიდობიანობა და მყუდროება დაიცევით სამშობლოშიო. ვიცით რა მდგომარეობაშია მაკედონიის საქმე, ამიტომ ბოლგარია სხვა სახელმწიფოებთან ერთად შეასრულებს ყველაფერს, რაც კი საჭიროა.

ლონდონი. კრანბორნის განმარტების შემდეგ ვალტონის წინადადების შესახებ კამათი მოსპეს. ლიბერალმა გრეიმ სთქვა: რუსეთი მშვიდობიანობის გზით ჩაჰყლაპავს სპარსეთს. ინგლისმა უნდა გამოიკვლიოს, სულ ნაკლები რამდენი სტრატეგიული ადგილი უნდა დაიჭიროს და რუსეთსაც გულ-ახდილად თავისი სათქმელი უნდა უთხრას ამის შესახებ.

8 თებერვალი.

ხარკოვი. ჩვენება ჩამოართვეს მოწმეებს დუბენსკისა და პოზნანსკის; მათგან ერთ—გაკოტრებულ ბანკის მზრუნველთა, მეორე—ალჩევსკის ქონებაზე დაარსებულის საკონკურსო მმართველობის თავჯდომარე. ალჩევსკის ქონების აქტივი ყოფილა—143 ათასი მან., ხოლო პასსივი—19 მილიონი მან.

სოსნოვიცი. შტეიგერი ძერძეევსკი გარდაიცვალა.

პარიზი. დელკასემ გამოუცხადა მინისტრთა საბჭოს, რომ სამშაბათს მისწერა საფრანგეთის ელჩს კონსტანტინეპოლში, ეცადოს ოსმალეთის მთავრობის წინაშე მაკედონიისათვის შემუშავებულ რეფორმების განხორციელების შესახებ.

ჯიბუთი. ინგლისის სამხედრო აგენტები აბისინიაში, პოლკოვნიკი როშფორი და კაპიტანი კობბოლდი, მოვიდნენ ჩარარს და 20 იანვარს აბისინიის დიდ ჯართან ერთად წავიდნენ ვები-შებელისაკენ, სადაც აჯანყებული მოლა ბანაკად სდგას.

ტანჟერი. გაზ. „გლობ“-ში დაბეჭდილია ამბავი, ვითომც მაროკოს სამხედრო მინისტრი 30 იანვარს მომხდარ ბრძოლაში მოკლულ იქმნაო.

ლეიპციგი. გაზ. „ლეიპციგერ ცაიტუნგ“-ი სწერს, რომ საქსონიის კრონპრინცესა და მის მეუღლის საქმის გამო განაჩენი ამ დღეებში მოჰხდება და გამოეცხადებაო კრონპრინცესსას ვექილს. განაჩენს არ გამოაქვეყნებენ, რადგან ამის წინააღმდეგია კრონპრინცესსას ვექილი.

სოფია. შინაგან საქმეთა მინისტრმა მოსთხოვა საერო კრებას 200 ათასი მან. კრედიტი საზღვარზე სადარაჯო რაზმის გასაძლიერებლად.

რომი. დაიწყო დღესასწაული პაპის ლეონ მე-VIII იუბილს გამო.

ვაშინგტონი. პალატამ დაამტკიცა ზღვათა სამინისტროს ბიუჯეტი; განზრახულია ააშენონ: სამი საომარი გემი, ერთი კრეისერი და სამი სავარჯიშო გემი.

პეტერბურგი. მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგი ენგელგარდი დაინიშნა სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა საგანგებო საბჭოს წევრად.

პლაუენი. ძლიერი მიწისძვრა მოხდა. უკანასკნელ დღეებში მიწისძვრა იყო აგრეთვე ზემო-ფოგტლანდში, რამბაჰში, უნტერსაქსენბერგსა და მრავალიცაში.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსავალი ცხრილი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 06 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7 /71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12. 28 წ.).

განცხადებანი

მასწავლებლის სტრუმილოს

საფუტკრესა

და

მეფუტკრეობისათვის საჭირო მასალის მთავარ საწყობში (ტფილისის საბაღოსნო სკოლასთან) დაიკვეთონ მეფუტკრეობის იარაღი, საფუტკრე ყუთილების, თესლი ხელოვნური ფიტი და დადანის სკები ცაცხვის ხისა. თითო ცალი ღირს 7 მანეთად.

(3—32—1)

სხვა-და-სხვა ჟუჟილის

საუკეთესო

ო-დე-კოლონი

№ 4711

რეინის თაიგულები

უმჯობესი ხანგრძლივი და იაფი დუხები ცხვირსახოცებისათვის

უოველგვარ ყვავილის სუნნელებისა.

(მც. 3.—5)

ცინკოგრაფია

ტფილ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 87½.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ვაჭრობა ფართლეულობის საქონლით დაბა ყვირილაში რაფიელ ველესიანისა.

პატივი მაქვს ვაცნობო შორაპნის მაზრის საზოგადოებას, რომ მაღაზია, რომელიც ყვირილის სადგურის პირ-და-პირ მქონდა, გადავიტანე ზედა ხიდის გვერდზედ.

მაღაზიაში იშოვება ყოველ გვარი ახლად მიღებული კარგი საქონელი. იმედი მაქვს, საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს ოცდა ათის წლის გაცნობილს მაღაზიას. საქონელი იყიდება დაკლებულ ფასად.

შორაპნის მაზრის საზოგადოების პატივის მცემელი რაფიელ ველესიანი. (20—10)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისში

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ).

ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი, მზა წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბორატორიისთვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და სხვ.

ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ. (100—5)

Дозв. ценз. Тифлисъ, 8 Февраля, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).